საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

# 2016 წლის ანგარიში

MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

Georgia

# სარჩევი


სტატისტიკა 7
- ეკონომიკური მაჩვენებლები 9
- განთავსების ობიექტები 11
- საავიაციო ბაზარი 14

მარკეტინგი 16
- TRIPADVISOR 17
- საერთაშორისო გამოფენები 18
- ინტერნეტ კამპანიები 20
- სატელევიზიო რეკლამა 21
- სატელევიზიო გადაცემები 22
- CHECK in GEORGIA 24
- პუბლიკაციები 25
- TOUCH ციფრული მარკეტინგის კონფერენცია 26

მცირე ინფრასტრუქტურა 2016 წელი 28

ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრები 30

სამთო საფეხმავლო მარშუტების მონიშვნის ქართული სტანდარტი 32

მომსახურების ხარისხის ამაღლება 34

საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიურო 36

ღვინის ტურიზმის გლობალური კონფერენცია 42

საერთაშორისო ურთიერთობები 44

საერთაშორისო აღიარება 46

შიდა ტურიზმის სტიმულირება 48

ღონისძიებების მხარდაჭერა 50

,,Welcome to Georgia'' 52

2017 წლის სპეციალური პროექტები 54

2016 წელი გამორჩეული იყო ჩვენი ქვეყნისთვის საერთაშორიო მოგზაურების რაოდენობის კუთხით. საქართველოში უპრეცენდენტოდ მაღალი 6,350,825 საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეკონომიკურ მაჩვენებლებზეც, მათ შორის დასაქმებასა და საგადასახადო შემოსავლებზე. აღსანიშნავია ტურიზმის სექტორის კონტრიბუცია ეკონომიკაში უცხოური ვალუტის შემოდინების მხრივაც.

ჩვენი მთავრობა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს 4-სეზონიანი კურორტების განვითარების მიმართულებით. ვქმნით ახალ ინფრასტრუქტურას, როგორც მთის კურორტებზე, ასევე საქართველოს მასშტაბით.

ხელს ვუწყობთ ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას აქტიური მარკეტინგული კამპანიების განხორციელებითა და ქვეყანაში საერთაშორისო ღონისძიებების (ფესტივალები, კონფერენციები) ორგანიზებით, ვზრუნავთ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ვქმნით ახალ ტურისტულ პროდუქტს და რაც მეტად მნიშვნელოვანია, ხელს ვუწყობთ პირდაპირი ფრენების განვითარებას. წელს ქუთაისის აეროპორტში Wizz Air-ის ბაზა გაიხსნა, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, პირველია რეგიონში.

ამ ყველაფრის განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის კერძო სექტორს, რომელიც წლიდან წლამდე ვითარდება და ნერგავს ბევრ სიახლეს. დაგეგმილი პროექტების გათვალისწინებით, დარწმუნებული ვარ, რომ 2017 წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება ყველასთვის.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

*საქართველოს ეკონომიკისა და*
*მდგრადი განვითარების მინისტრი*

**გიორგი გახარია**

2016 წელს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საქმიანობას წარმატებულად ვაფასებთ და ამას პირველ რიგში რეკორდული ოფიციალური სტატისტიკა და მონაცემები ადასტურებს. წელს პირველად საქართველომ ორ მნიშვნელოვან ნიშნულს მიაღწია, საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 6 მილიონს გადააჭარბა (6,350,825) და ასევე პირველად - შემოსავლებმა საერთაშორისო ტურიზმიდან 2 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა.

მთელი წლის განმავლობაში ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რომელიც სწორედ ტურისტების მოზიდვისკენ იყო ორიენტირებული. საერთაშორისო აქტივობებში იგულისხმება 19 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მივიღეთ, ასევე აქტიური მარკეტინგული კამპანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, პრეზენტაციები და სხვა ღონისძიებები სამიზნე ბაზრებზე. გარდა ამისა, გვქონდა ფართომასშტაბიანი კამპანია მსოფლიოში ერთერთ ყველაზე პოპულარულ სამოგზაურო პორტალზე Tripadvisor.

წელს, ასევე პირველად საქართველოს ისტორიაში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფარგლებში ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ, რომელიც საქმიანი ტურიზმის (MICE) განვითარებასა და სხვადასხვა შეხვედრის, წამახალისებელი ტურების, კონფერენციების, გამოფენებისა და მსგავსი საერთაშორისო ღონისძიებების მოზიდვას შეუწყობს ხელს.

მარტო 2016 წელს ჩვენი ორგანიზებით საქართველომ 600 მდე ჟურნალისტსა და 300 ტურ ოპერატორს უმასპინძლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. შედეგად, საქართველოზე დამზადდა 700-მდე სტატია და ათეულობით სატელევიზიო სიუჟეტი თუ დოკუმენტური ფილმი.

რაც შეეხება შიდა ტურზმის სტიმულირებას, წარმატებით მიმდინარეობს პროექტი „გაიცანი საქართველო“.

ხორციელდება ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა მათ შორის ინკლუზიური ტურიზმის მიმართულებით, 2016 წელს შშმ პირებისთვის მცხეთის ისტორიული ძეგლების ადაპტირება დავასრულეთ. უნდა აღინიშნოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წინ გადადგმული ნაბიჯებიც, კერძოდ, გადამზადების კურსები, რომელიც გაიარა ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულმა 1270-მა ადამიანმა. გარდა ამისა, პირველად საქართველოში 2016 წელს ტურიზმის ადმინისტრაციის ინიციატივით სამთო-საფეხმავლო მარშუტების ქსელის მონიშვნის ქართული სტანდარტი შემუშავდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ქვეყანაში ყველა სამთო საფეხმავლო მარშრუტის გეგმარება და მარკირება სტანდარტით განსაზღვრული წესების მიხედვით მოხდება.

აღნიშვნას იმსახურებს ღვინის ტურიზმის პირველი გლობალური კონფერენცია, რომელიც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ საქართველოში მიმდინარე წლის სექტემბერში გამართა და რომელსაც 250 დელეგატი მათ შორის გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივანი თალებ რიფაი დაესწრო. 3 დღიან ღონისძიებაზე კიდევ უფრო ხაზგასმით მოხდა საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს წარმოჩენა, ქვეყნის, რომელსაც ღვინის კულტურასთან 8 ათას წლიანი უწყვეტი ტრადიცია აკავშირებს.

2017 წელიც დატვირთული იქნება აქტივობებითა და ღონისძიებებით, კიდევ ერთხელ გამოვთქვამ მზადყოფნას რომ აქტიურად ვითანამშრომლებთ კერძო სექტორთან.

*საქართველოს ტურიზმის ეროვნული*
*ადმინისტრაციის ხელმძღვანელი*

**გიორგი ჩოგოვაძე**

Georgia

# საერთაშორისო შემოსვლები

**6,350,825**

**რეკორდული მაჩვენებელი**

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. 2016 წელს ამ რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს 6,350,825-ს მიაღწია (+7.6%).

ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 2,714,773 შეადგინა, რაც 432,802-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე (ზრდა +19%). შედეგად მათი წილი ვიზიტების საერთო რაოდენობაში 42.7%-მდე გაიზარდა.

**ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 2,714,773**

**2016 წლის მთლიან რაოდენობრივ ზრდაში სწორედ ტურისტულ ვიზიტებზე მოდის. 96%**

რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტების სხვა ტიპებს, საერთო რაოდენობის 36.5% ერთდღიან ვიზიტებს შეადგენდა, ხოლო ვიზიტების 20.8% ტრანზიტის მიზნით შესრულდა.
საერთაშორისო შემოსვლების უმეტესი წილი - 83.6% (5,310,974) მეზობელი ქვეყნებიდან განხორციელდა, მხოლოდ 16.4% (1,039,851) შემოვიდა სხვა ქვეყნებიდან. 2016 წლის ჯამური მონაცემებით ლიდერი აზერბაიჯანია 1,523,075 საერთაშორისო ვიზიტით (ზრდა +9.3%).
ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტების რაოდენობამ 2016 წელს 263,076 შეადგინა. ევროპელი მოგზაურების წილი მთლიან რაოდენობაში 4.1%-ია, ხოლო ზრდა წინა წელთან შედარებით +8.6%.
საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების უმრავლესობა 82% (5,181,658) სახმელეთო ტრანსპორტის მეშვეობით განხორციელდა, შემდეგ არის საჰაერო ტრანსპორტი 1,066,378 (17%). ყველაზე დატვირთული საზღვარია სარფი 1,262,359 ვიზიტით (მთლიანი საზღვრის კვეთების 20%). მას მოსდევს 18%-ით სადახლო და წითელი ხიდი 18%-ით.

### საერთაშორისო შემოსვლები ტიპების მიხედვით

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | ცვლილება % 2015-2016 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 4,428,221 | 5,392,303 | 5,515,559 | 5,901,094 | 6,350,825 | +7,6% |
| 24 საათი და მეტი | 1,789,592 | 2,065,296 | 2,229,094 | 2,281,971 | 2,714,773 | +19,0% |
| ერთდღიანი ვიზიტი | 1,883,670 | 2,138,216 | 2,172,429 | 2,218,288 | 2,315,052 | +4,4% |
| ტრანზიტი | 754,959 | 1,188,791 | 1,114,036 | 1,400,835 | 1,321,000 | -5,7% |

*[1] 2016 წლის საერთაშორისო მოგზაურების მონაცემები წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2017 წლის აპრილში.*

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

## საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით




წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო




წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო





## საერთაშორისო შემოსვლები, პირველი 10 ქვეყანა

| ქვეყანა | 2015 | 2016 | ცვლილება | ცვლილება % |
|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | 1,393,257 | 1,523,075 | 129,818 | +9.3% |
| სომხეთი | 1,468,888 | 1,496,246 | 27,358 | +1,9% |
| თურქეთი | 1,391,721 | 1,254,089 | -137,632 | -9,9% |
| რუსეთი | 926,144 | 1,037,564 | 111,420 | +12,0% |
| უკრაინა | 141,734 | 172,631 | 30,897 | +21,8% |
| ირანი | 25,273 | 147,915 | 122,642 | +485,3% |
| ისრაელი | 59,487 | 92,213 | 32,726 | +55,0% |
| ყაზახეთი | 36,777 | 48,809 | 12,032 | +32,7% |
| პოლონეთი | 41,425 | 44,388 | 2,963 | +7,2% |
| გერმანია | 36,826 | 40,889 | 4,063 | +11,0% |

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

## ტურიზმი, ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი

2016 წლის სამი კვარტლის ჯამური მონაცემებით შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან შეადგენს 1.7 მილიარდ დოლარს (ზრდა +11.7%). წინასწარი მონაცემებით 2016 წლის შემოსავალმა უცხოური ტურიზმიდან 2 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

2016 წლის სამი კვარტლის ჯამური მონაცემებით ტურიზმის ინდუსტრიაში შექმნილმა ღირებულებამ 1.54 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო მისი წილი მშპ-ში 7.3%-მდე გაიზარდა (ზრდა +10.5%).

### შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან

## 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა




## საწოლი ადგილების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

ტურიზმის წილი მშპ-ში




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

## შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 2015-2016 I-III კვ. (აშშ დოლარი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი





# განთავსების ობიექტები

2016 წლის მდგომარეობით საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული განთავსების საშუალებების რაოდენობამ 1,765 შეადგინა, ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობამ 57,049.

თბილისი ლიდერია 14,837 (26%) საწოლი ადგილით, მას მოსდევს აჭარის რეგიონი - 11,615 (20%) რაოდენობით.

ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს და დაგეგმილია რამდენიმე განთავსების ობიექტის მშენებლობა. თბილისში დაგეგმილია ისეთი ბრენდის სასტუმროების გახსნა, როგორიცაა: Intercontinental, Rooms Hotel, Hilton Garden Inn, Radisson Park Inn, Rixos Tbilisi, Hyatt Regence, Moxy Marriott, Pullman Hotels & Resort, Radisson BLU Telegraph, Ramada Encore, Golden Tulip და Marriott Autograph.

საწოლი ადგილების რაოდენობა რეგიონების მიხედვით




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

# 2016 წელს გახსნილი სასტუმროები

THE BILTMORE HOTEL / თბილისი
ART BOUTIQUE HOTEL / თბილისი
MUSEUM HOTEL / თბილისი
EUPHORIA / ბათუმი
CROWNE PLAZA / ბორჯომი
GOLDEN TULIP / ბორჯომი
GINO WELLNESS / მცხეთა
CASTELLO MARE / ციხისძირი
ERA PALACE / კვარიათი

**+3 100**-ზე
მეტი საწოლი ადგილი

# დაგეგმილი განთავსების ობიექტების მშენებლობები 2017/2019

INTERCONTINENTAL / თბილისი
ROOMS HOTEL / ბათუმი
HILTON GARDEN INN / თბილისი
PARK INN BY RADISSON / თბილისი
RIXOS TBILISI / თბილისი
HYATT REGENCY / თბილისი
COURTYARD BY MARRIOTT / ბათუმი
RADISSON BLU TELEGRAPH / თბილისი
RAMADA ENCORE / თბილისი
GOLDEN TULIP / თბილისი
MARRIOTT AUTOGRAPH COLLECTION-PANORAMA FREEDOM SQUARE / თბილისი
MARRIOTT AUTOGRAPH COLLECTION-PANORAMA SOLOLAKI / თბილისი
BEST WESTERN VIB / ბათუმი
MOXY HOTELS / თბილისი
RADISSON BLU TSINANDALI / წინანდალი
BABYLON TOWER / ბათუმი
BEST WESTERN HOTELS & RESORTS / ქუთაისი
PULLMAN HOTELS & RESORTS / თბილისი
RADISSON BLU GUDAURI / გუდაური
SWISSOTEL / ბათუმი
LA MERIDIEN HOTELS / ბათუმი
PORTA BATUMI TOWER / ბათუმი
TWIN TOWER / ბათუმი
TABOR RIDGE RECREATION & RESORT / თბილისი
GOLDEN TULIP / თელავი
WYNDHAM HOTELS AND RESORTS / ბათუმი

# საავიაციო ბაზარი

2016 წლის ჯამური მონაცემებით საერთაშორისო რეისების რაოდენობამ 15,318 შეადგინა. ზრდა წინა წელთან შედარებით +12%-ია. რაც შეეხება მგზავრებს, 2016 წლის ჯამური მონაცემებით მათი რაოდენობა 2,840,455 შეადგენს, ზრდა წინა წელთან შედარებით +26%-ია.

საქართველოში მოქმედი ავიაკომპანიებია: : Georgian Airways, China Southern Airlines, Scat, Air Astana, Azerbaijan Airlines, Qatar Airways, Fly Dubai, Ural Airlines, LOT, Ukraine Intern. Airlines, Arkia Airlines, Israir Airlines, ELAL, Belavia, Luftanza, Aeroflot, S7 Airlines, Aegian Airlines, Air Baltic, Turkish Airlines, AtlasGlobal, Ellinair Airlines, Dnepravia, Pegasus Airlines, Ata Airlines, Qeshm Air, Taban Airlines, Zagros Airlines, Air Cairo, Air Arabia, Pobeda, Yanair, Wizz Air Hungary და Dart Airlines.

15,318
რეისები
+12%

2,840,455
მგზავრები
+26%

## საქართველოს აეროპორტების სტატისტიკა: მგზავრები და ფრენები




წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო





## ახალი მიმართულებები საქართველოდან 2016

| ავიახაზები | ფრენა |
|---|---|
| YANAIR | ოდესა - ბათუმი - ოდესა |
| | ოდესა - თბილისი - ოდესა |
| Qeshm Air | თეირანი - ბათუმი - თეირანი |
| | თეირანი - თბილისი - თეირანი |
| Ural Airliens | ეკატერინბურგი - ბათუმი - ეკატერინბურგი |
| | სანკტ-პეტერბურგი - ბათუმი - სანკტ-პეტერბურგი |
| ELAL | თელ ავივი - თბილისი - თელ ავივი |
| | თელ ავივი - ბათუმი - თელ ავივი |
| Air Arabia | შარჟა - ბათუმი - შარჟა |
| Scat | აქტაუ - ბათუმი - აქტაუ |
| ATA Airlines | თეირანი - ბათუმი - თეირანი |
| Dart | კიევი - თბილისი - კიევი |
| Zagros Airlines | თეირანი - თბილისი - თეირანი |
| Taban Airlines | თეირანი - ბათუმი - თეირანი |
| Pobeda | როსტოვი - თბილისი - როსტოვი |
| Wizz Air | ბერლინი - ქუთაისი - ბერლინი |
| | დორტმუნდი - ქუთაისი - დორტმუნდი |
| | მემინგემი - ქუთაისი - მემინგემი |
| | მილანი - ქუთაისი - მილანი |
| | ლარნაკა - ქუთაისი - ლარნაკა |
| | სალონიკი - ქუთაისი - სალონიკი |
| | სოფია - ქუთაისი - სოფია |

წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

# მარკეტინგი 2016 წელი

## 2016 წლის საერთაშორისო მარკეტინგული აქტივობებში

## 22, 540, 000 ლარი დაიხარჯა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, საქართველოს ეწვია

- 590 ჟურნალისტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან
- 275 ტუროპერატორი
- 660 -nde სტატია გამოქვეყნდა საერთაშორისო მედიაში
- ფართომასშტაბიანი კამპანია TRIPADVISOR-ზე
- ტურიზმის საერთაშორისო გამოფენები
- ინტერნეტ მარკეტინგული კამპანიები
- სატელევიზიო რეკლამა
- გადაცემები, დოკუმენტური ფილმები და სიუჟეტები საქართველოზე
- ინტერნეტ რეკლამა - CHECK in GEORGIA





## ფართომასშტაბიანი სარეკლამო კამპანია TRIPADVISOR-ზე

### 10 ქვეყანა

აზერბაიჯანი / გერმანია / ისრაელი
იტალია / პოლონეთი / თურქეთი
სომხეთი / ყაზახეთი / რუსეთი / უკრაინა





# ტურიზმის საერთაშორისო გამოფენები

- გერმანია-ფრანკფურტი - IMEX
- არაბეთი-დუბაი - ATM
- კორეა-სეული - KOTFA
- ჩინეთი-პეკინი - COTTM
- ისრაელი-თელავივი - IMTM
- ყაზახეთი-ალმ-აატა - KITF
- საქართველო-ბათუმი - ექსპო
- ლატვია-რიგა - BALTTOUR
- იაპონია-ტოკიო - JATA
- აშშ-ნიუ იორკი - NY TIMES TRAVEL SHOW

# ტურიზმის საერთაშორისო გამოფენები

- საქართველო-თბილისი - CTF
- რუსეთი-მოსკოვი - OTDYKH
- იტალია-რიმინი - TTG
- აზერბაიჯანი-ბაქო - AITF
- უკრაინა-კიევი - UITT
- ესპანეთი-მადრიდი - FITUR
- ინგლისი-ლონდონი - WTM
- ესპანეთი-ბარსელონა - EIBTM
- პოლონეთი-ვარშავა - TT Warsaw
- თურქეთი-სტამბული - EMITT
- გერმანია-ბერლინი - ITB

# ინტერნეტ მარკეტინგული კამპანიები

## ზაფხული / შემოდგომა
**16 ქვეყანა**

გერმანია / იტალია / ისრაელი / უკრაინა / რუსეთი / პოლონეთი / ბელარუსი
აზერბაიჯანი / ყაზახეთი / თურქეთი / სომხეთი / ლიტვა / ლატვია / კატარი
ქუვეითი / არაბეთის გაერთიანებული საემიროები

## ზამთარი
**12 ქვეყანა**

რუსეთი / არაბეთის გაერთიანებული საემიროები / გერმანია / იტალია
ისრაელი / უკრაინა / პოლონეთი / ბელარუსი / აზერბაიჯანი / ყაზახეთი
თურქეთი / სომხეთი

# ზამთრის სეზონი

## სატელევიზიო რეკლამა

- რუსეთი (RUSSIA 1)
- უკრაინა (1+1)
- ბელარუსი (TNT)
- ყაზახეთი (KTK)

# გადაცემები, დოკუმენტური ფილმები და სიუჟეტები საქართველოზე

## რუსეთი

- ტელეარხი CTC, გადაცემა  “RUSO TURISTO”
- ტელეარხი MOYA PLANETA გადაცემა **„Планета Вкусов”**
- ტელეარხი FRIDAY გადაცემა “Veryu ne Veryu”
- ტელეარხი U გადაცემა “Anfisa in Wonderland”
- ტელეარხი **“Здоровое ТВ” ЗАО “Телекомпании Стрим”**,
- ტელეარხი „Friday” გადაცემა “Orel & Reshka Shopping“
- პროგრამა **“Оздоровительный туризм”**
- ტელეარხი **ОРТ МАМА**
- ტელეარხი **“НТВ”**, გადაცემა **“Поедем, поедим! –**
- Aura Films” გადამღები ჯგუფი
- ტელეარხი **“НТВ” ,  Первая передача**
- არტ-პროექტი #FollowMeTo

## უკრაინა

- ტელეარხი „Friday” გადაცემა “Orel & Reshka Shopping“
- ტელეარხი „STB” გადაცემა „Allochka’s adventures in Georgia“
- ტელეარხი „1+1” გადაცემა „Breakfast”
- ტელეარხი „Inter” გადაცემა „Morning with Inter”

## ბელარუსი

- ტელეარხი „Belarus 1” გადაცემა “Good morning Belarus”

## თურქეთი

- ტელე-არხი “TRT”, სამოგზაურო პროგრამა
- ”Gulhanin galaxy rehberi“

## ესპანეთი

- ტელეკომპანია “Canal+”
- ტელე არხი “CUATRO”
- გადაცემა “PLANETA CALLEJA”

## საფრანგეთი

- „France 5“ - დოკუმენტური სერიალი
- „A Ciel Ouvert“ („ღია ცის ქვეშ“)

## აზერბაიჯანი

- ტელეარხი **„ATB“**, გადაცემა **“Травелшоу на колесах”**

## ჩინეთი

- Shanghai Cloudwave Network and
- Technology -  360 გრ. პანორამული
- ვიდეო justbethere

## ისრაელი

- კომპანია Omer TV, ტელეარხი Channel 2

## დიდი ბრიტანეთი

- BBC Season

## ინტერნეტ კამპანია 16 ქვეყანაში CHECK in GEORGIA-ს ფარგლებში

პოლონეთი, ბელარუსი, რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, თურქეთი, ისრაელი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია, იტალია, გერმანია, კატარი, ქუვეითი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ყაზახეთი

**321, 081,854 ნახვა**

# 2016 წელს გამოცემული პუბლიკაციები

- სპა კატალოგი ქართულ და ინგლისურ ენებზე
- ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება
- საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა
- სასკოლო ტურების კატალოგი – კახეთი

ციფრული მარკეტინგი / TOUCH

პირველად საქართველოში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით ჩატარდა

# TOUCH – ციფრული მარკეტინგის პირველი კონფერენცია

19 ნოემბერი – თბილისი

Touch

Digital Marketing Conference

**თემა** ტურიზმი ციფრულ სამყაროში.

მონაწილეები – Google-ის ინდუსტრიული მენეჯერი – დმიტრი შილიუკი

National Geographic -ის ფოტოგრაფი ვიქტორ ლაგუშკინი.

Impact hub Vienna -ის წარმომადგენელი კაი ვიჩმენი – სოციალური მედიის მენეჯერი ანა სამკაიო ბაროში – ფოტოგრაფი და მოგზაური – აურელიან ბატინი.

## მცირე ინფრასტრუქტურა

# ინკლუზიური ტურიზმი

ყველა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (ეტლით მოსარგებლე/უსინათლო/ნარჩენი მხედველობის/) ადაპტირდა მცხეთის ისტორიული ძეგლები

• sveticxoveli • SiomRvime • antioqia • samTavros dedaTa monasteri

### და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი

დამონტაჟდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა ( პანდუსები , ამწე-ლიფტი) ეტლით მოსარგებლეებისთვის

განთავსდა ტაძრის მაკეტები და სპეციალური დაფები ბრაილის შრიფტით უსინათლოებისთვის



მცირე ინფრასტრუქტურა

## მცირე ინფრასტრუქტურა

### ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციების მონტაჟი

• ქუთაისი • ყვარელი
• ოზურგეთი • ახალციხე

### საფეხმავლო მარშრუტების კვლევა

• გურიის რეგიონი
• იმერეთის რეგიონები

• „ღვინის გზის“ პროექტი
ობიექტების ინვენტარიზაცია, მარშრუტის მარკირება, ბეჭდვითი მასალის მომზადება

• ტურისტული სასურათე ჩარჩოები ბაკურიანსა და გუდაურში

# ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრის გახსნა ფოთში

ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

# ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრის გახსნა ბაკურიანში

### პირველად საქართველოში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით შეიქმნა

# სამთო საფეხმავლო მარშუტების ერთიანი ქსელის მონიშვნის ქართული სტანდარტი

ქვეყანაში ყველა სამთო საფეხმავლო მარშრუტის გეგმარება და მარკირება სტანდარტით განსაზღვრული წესების მიხედვით მოხდება, რომელიც ეროვნულ რეგლამენტად  საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა.

- სტანდარტის მიხედვით უკვე მარკირებულია ზემო სვანეთში არსებული და ზემო სვანეთის-სამეგრელოსთან დამაკავშირებელი ბილიკები.
- მზად არის  156  მარშუტის პროექტი, რომელიც  6 რეგიონს მოიცავს.
- 2017 წელს მას  2 რეგიონი დაემატება.
- 4 წლის  შემდეგ კი 8 რეგიონის მარშრუტები სრულად იქნება მარკირებული.
- მიმდინარეობს სამთო-საფეხმავლო მარშრუტებზე ადგილობრივი გამყოლების გადამზადების ტრენინგები.
- ქვეყნის თითოეული რეგიონის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენისა და ტურისტული ნაკადის თანაბრად გადანაწილების მიზნით, ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ მიმდინარეობს საქართველოს სამთო-საფეხმავლო მარშრუტების ერთიანი ქსელის შექმნა.

# 2016 წელს გადამზადდა 1270 ადამიანი

### საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ანგარიშგება

თბილისი, თელავი, ლაგოდეხი (2 -ჯერ), ქუთაისი, გორი (2 -ჯერ), ონი, წყალტუბო, სიღნაღი, მესტია

### სასტუმროს საქმე და მომსახურების უნარ-ჩვევები

თბილისი, ქუთაისი, წყალტუბო, ონი, ამბროლაური, სიღნაღი, ყვარელი, თელავი ლაგოდეხი

### საოჯახო სასტუმროს მართვა

კურორტი საწირე.

### მარკეტინგი და გაყიდვების ხელშეწყობა

თბილისი, თელავი, ქუთაისი, წყალტუბო, გორი, დაბა მესტია, ამბროლაური, ონი, ლაგოდეხი, სიღნაღი, ყვარელი, ბორჯომი, დაბა ბაკურიანი.

### ღვინო, როგორც ტურისტული პროდუქტი

თელავი, გურჯაანი, სიღნაღი, ყვარელი, ახმეტა, გორი, ამბროლაური, მცხეთა, ბათუმი, ქუთაისი.

### საბაზისო ინგლისური ენის კურსები

თელავი, ლაგოდეხი, ქუთაისი, გორი, მესტია, ონი და ამბროლაური

### სამთო გამყოლის კურსები

დაბა გუდაური, სტეფანწმინდა , თერჯოლის რაიონი სოფელი ძევრი, დაბა მესტია.

### პირველადი სამედიცინო დახმარება

ლაგოდეხი, თელავი, გორი, ქუთაისი, წყალტუბო, ამბროლაური, ონი და მესტია

### ტურიზმის განვითარების ტენდეციები და განთავსების საშუ-ალებების მართვის საშუალებების მართვის საფუძვლები.

ქვემო,ქართლი, შიდა ქართლი, სვანეთის და იმერეთის რეგიონი

### სამთო-საფეხმავლო მარშრუტებზე ადგილობრივი გამყოლების მომზადების კურსი

მესტიის მუნიციპალიტეტი



მომსახურების ხარისხის ამაღლება

Convention and Exhibiton Bureau of Georgia

## თებერვლიდან საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფარგლებში ოფიციალური ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ

# ამოცანები:

- საქართველოში საქმიანი ტურიზმის (MICE) განვითარებისა და სხვადასხვა შეხვედრის, წამახალისებელი ტურების, კონფერენციების, გამოფენებისა და მსგავსი საერთაშორისო ღონისძიებების მოზიდვის ხელშეწყობა.
- საზღვარგარეთ საქართველოს საქმიანი ტურიზმის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიუროში გაწევრიანება შეუძლიათ ხუთ კატეგორიის ორგანიზაციებს, კერძოდ, განთავსების ობიექტები (სასტუმროები), სააგენტოები (Destination Management Company - DMC და Professional Congress Organizer - PCO), საგამოფენო სივრცეები, ავიაკომპანიები და დამხმარე ინდუსტრიის წარმომადგენლები (ტრანსპორტი, ტექნიკური უზრუნველყოფა და სხვა). საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს წევრობა სრულიად უფასოა.

Meetgeorgia.ge.

# შესაბამის კატეგორიაში განევრიანების მინიმალური კრიტერიუმებია:

## 1. DMC და PCO

- მინიმუმ 3 წლიანი ოპერირების გამოცდილება
- მინიმუმ 3 საქმიანი ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ღონისძიებების (50 კაცი ან მეტი) გამართვის გამოცდილება
- ორი სარეკომენდაციო წერილი საკონვენციო ბიუროს წევრი განთავსების ობიექტისაგან
- მინიმუმ 5 თანამშრომელი
- ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი

## 2. განთავსების ობიექტები

- თბილისი და ბათუმი: 55 ნომერი და მეტი,შეხვედრების დარბაზი 70 ადამიანზე
- თბილისისა და ბათუმის გარეთ:
- 55 ნომერი და მეტი
- შეხვედრების დარბაზი 70 ადამიანზე
- 3 რეკომენდაცია წევრებისაგან

## 3. საგამოფენო სივრცე

- საგამოფენო ან საკონვენციო სივრცე, მინიმუმ 300 ადამიანზე

## 4. ავიაკომპანია

- ავიაკომპანია, რომელიც ახორციელებს რეგულარულ ფრენებს საქართველოს აეროპორტებიდან

## 5. დამხმარე ინდუსტრია

- ბაზაში გაწევრიანებული 5 სხვადასხვა სუბიექტის მიერ გაცემული დადებითი რეკომენდაცია



საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიურო

როგორც საქმიანი ასევე დასვენების მიზნით ჩამოსული ვიზიტორების ხელშეწყობისათვის, შემუშავდა „ინფოგრაფიკი“, რომელიც ასახავს მოგზაურებისათვის მნიშვნელოვან და გასათვალისწინებელ დეტალებს ქვეყნის შესახებ:

## საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ უკვე დაიწყო წარმატებული ნაბიჯების გადადგმა.

2016 წლის აპრილში ბიუროს შუამდგომლობით საქართველოს ეწვია 88 კაციანი ბიზნესმენთა ჯგუფი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან.

2016 წლის  სექტემბერში საქართველოს ეწვია 92 კაციანი ჯგუფი Google-ის პოლონეთის ოფისიდან.





## აგვისტოში საკონვენციო ბიუროს შუამდგომლობით საქართველოში გაიმართა ავია-რაღი, რომლის ფარგლებში ქვეყანას 9 ავია ხომაღლი და 30-ზე მეტი პირი ეწვია.

## ბიუროს მიერ გატარებული აქტივობების შედეგად, საქართველოს რეიტინგი საქმიანი ტურიზმის კუთხით საერთაშორისო რეიტინგში რვა პუნქტით გაუმჯობესდა.

7-9 სექტემბერს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, უმასპინძლა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ღვინის ტურიზმის პირველ გლობალურ კონფერენციას.
ღონისძიებას 240-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა, რომლებიც 40-ზე მეტ ქვეყანას წარმოადგენდნენ (130-ზე მეტი ორგანიზაცია), მათ შორის, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური-მდივანი ტალიბ რიფაი.

თალებ რაფაი – გაეროს მსოფლიიო ტურიზმის ორგანიზაციის თავმჯდომარე:

- *საქართველო ესაა ქვეყანა, რომელსაც ნებისმიერი ადამიანი, ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა ესტუმროს*

- *ჩვენ ვიმყოფებით ყველაზე ლამაზ ქვეყანაში მსოფლიოში და მე ზუსატად იმას ვგულისხმობ, რასაც ვამბობ. საქართველო ძალიან ლამაზია არა მხოლოდ თავისი ბუნებით, მთებით, მისი 8 ათასწლიანი ღვინის ისტორიით და ულამაზესი ხალხით, არამედ, ის ყველაზე სტუმართმოყვარე, ყველაზე ცოცხალი ერია მსოფლიოში.*

- *ეს სწორედ ის ადგილია, რომელსაც თამამად შეგვიძლია ღვინის აკვანი ვუწოდოთ. კახეთი მართლაც რომ ღვინის აკვანია და სხვადასხვა მიზეზთა გამო, დარწმუნებული ვარ, სწორედ აქ დაიწყო ყველაფერი. სწორედ აქ დაიწყო ადამიანმა ცხოვრებისა და სიხარულის ზეიმი",*

- *ჩვენ ვსაუბრობთ სასმელზე, რომელიც 8 ათასი წლისაა და რომელიც აქ წარმოიშვა. ღვინო სწორედ აქ იღებს სათავეს . საქართველო არის ღვინის ყველა მწარმოებლის მიერ მოსანახულებელი ადგილი. მას ღვინის წარმოების 8-ათასწლიანი ისტორიაა აქვს.*

ღვინის ტურიზმის პირველი გლობალური კონფერენცია

**კონფერენციის ფარგლებში გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ დაამტკიცა „საქართველოს დეკლარაცია ღვინის ტურიზმის შესახებ„. დოკუმენტი ასახავს ღვინის ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპებს, სექტორის ხედვასა და მიმართულებებს.**



GEORGIA DECLARATION ON WINE TOURISM

Fostering sustainable tourism development through intangible cultural heritage

As global tourism is on the rise and competition between destinations grows, unique local and regional intangible cultural heritage has gradually become the discerning factor for the allure and enjoyment of tourists. Gastronomy tourism has emerged as particularly important in this regard, not only because food and drink is central to any tourist experience, but also because the concept of gastronomy tourism has evolved to encompass its cultural facets and link to local culture. Incorporated into its discourse are the ethical and sustainable values of the territory, the landscape, the sea, local history, values and culture heritage.

## მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს 103-ე შეხვედრა

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს 103-ე შეხვედრაში, რომელიც ესპანეთში ქ. მალაგაში, 2016 წლის 10-12 მაისს გაიმართა.

## ASTA - American Society of Travel Agents-ში გაწევრიანება

2016 წლის მაისში, საქართველო ამერიკის ტურისტული სააგენტოების ასოციაცია ASTA-ს ოფიციალური წევრი გახდა. ამასთან გატარდა სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობა.

## საქართველოს და ჩინეთის მხარეთა შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ სამუშაო ჯგუფის შექმნა

2016 წელის მაისის თვეში, საქართველოსა და ჩინეთის მხარეს შორის ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, ქვეყნებს შორის ტურიზმის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტურიზმის ადმინისტრაციას შორის.

საერთაშორისო ურთიერთობები

## ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის პროგრამა საქართველოსა და ბელარუსს შორის

2016 წლის 1 სექტემბერს, ხელი მოეწერა „ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის პროგრამას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს შორის 2017-2018 წლებისთვის“, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას.

## ურთიერთგაგების მემორანდუმი ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ საქართველოსა და კატარს შორის

2016 წლის 8 ნოემბერს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩოგოვაძემ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს „საქართველოს მთავრობასა და კატარის სახელმწიფოს მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

## ასოციაცია ATTA-Adventure Travel Trade Association-ის სამიტი

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ასოციაცია ATTA-ს სამიტში „Travel World Summit 2016”, რომელიც გაიმართა 2016 წლის 18-23 სექტემბერს. ATTA ორიენტირებულია სხვადასხვა ქვეყანაში სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე.

• საქმიანი ტურიზმის სფეროში პროფესიონალური კონკურსის - „Buying Business Travel Awards 2016”-ის ფარგლებში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე საქართველო საუკეთესო საქმიანი ტურიზმის (MICE) დანიშნულების ადგილად დაასახელეს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურო წარდგენილი იყო აზერბაიჯანის, ქ. დუბაისა და სხვა დამკვიდრებული საქმიანი ტურიზმის მიმართულებებთან ერთად.

## ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ National Geographic-ის კონკურსში გაიმარჯვა

ჟურნალ National Geographic Traveler-ის დაჯილდოების ცერემონიალზე საქართველო 2016 წლის საუკეთესო ტურისტულ მიმართულებად დაასახელეს. ელექტრონული ხმისმიცემა National Geographic-ის რუსულენოვან საიტზე www.nat-geo.ru 8 სექტემბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით გრძელდებოდა. ნომინაციაში “წლის აღმოჩენა” 19 ქვეყანა მონაწილეობდა. გამოვლინდა 3 ფინალისტი: საქართველო, შრი-ლანკა და ირანი. ხმების 18%-ით საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა.

## საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ დამზადებულმა სარეკლამო ვიდეო რგოლმა „Winter in Georgia“ მოიპოვა პრიზები ტურისტული ფილმების ფესტივალებზე აზერბაიჯანში, ხორვატიასა და ლატვიაში.

# შიდა ტურიზმის სტიმულირება

## გაიცანი საქართველო

### შიდა ტურიზმის სტიმულირების კამპანია ქართული მასმედიის პარტნიორობით

## პროექტი „გაიცანი საქართველოს„ ფარგლებში ჩატარდა 11 პრესტური: სამცხე-ჯავახეთი/კახეთი/გურია/ თუშეთი/აჭარა/რაჭა/სამეგრელო/ ყაზბეგი/სვანეთი

# ღონისძიებების მხარდაჭერა

1. წირა - სკი-ქროსი
   (მესტია / მარტი)
2. Jump & Freeze
   (გუდაური / მარტი)
3. ლაშქრობის სეზონი
   (საწირე / აპრილი)
4. საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი
   (სხვადასხვა / მაისი)
5. დიპლომატიური ტური
   (სამეგრელო / მაისი)
6. მე ჩემი ქვეყნის მეგზური ვარ
   (თბილისი / ივნისი)
7. ექსტრემალური ფესტივალი
   (გუდაური / ივლისი)
8. ტროფი ექსპედიცია - In Racha 2016
   (რაჭა / ივლისი)
9. Rainforest Challenge 2016

ღონისძიებების მხარდაჭერა

# ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ღონისძიებები

1. ზაფხულის სეზონის გახსნა კახეთში
   (კახეთი/მაისი)
2. ზაფხულის სეზონის გახსნა ბორჯომში
   (ბორჯომი/მაისი)
3. 26 მაისი
   (თბილისი/მაისი)
4. ზამთრის სეზონის გახსნა ბაკურიანში
   (ბაკურიანი/დეკემბერი)
5. ზამთრის სეზონის გახსნა მესტიაში
   (მესტია/დეკემბერი)

# ,,Welcome to Georgia''

2 დეკემბერს, სასტუმრო ,,ბილტმორ თბილისში“ ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების მეორე ცერემონია გაიმართა. ღონისძიება საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თანაორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩატარდა. ,,Welcome to Georgia”- ს ღონისძიებაზე 19 გამარჯვებული 19 განსხვავებულ ნომინაციაში გამოვლინდა. მათ შორის:

## 19 nominacia:

1. საუკეთესო ბიზნეს ღონისძიების ადგილი
2. საუკეთესო MICE ტურიზმი
3. საუკეთესო რესტორანი
4. საუკეთესო ღვინის კომპანია
5. საუკეთესო ბუტიკის ტიპის განთავსების ობიექტი
6. საუკეთესო სტანდარტული ტიპის განთავსების ობიექტი
7. საუკეთესო დეიუძს ტიპის განთავსების ობიექტი
8. საუკეთესო სპა და გამაჯანსაღებელი განთავსების ობიექტი
9. საუკეთესო სამთო განთავსების ობიექტი
10. ქალაქში მდებარე საუკეთესო ზღვისპირა განთავსების ობიექტი
11. სანაპიროზე მდებარე საუკეთესო განთავსების ობიექტი
12. საუკეთესო დაბალბიუჯეტიანი განთავსების ობიექტი
13. წლის საუკეთესო ტურისტული ინოვაცია
14. საუკეთესო ფესტივალი ან ღონისძიება
15. საუკეთესო შემომყვანი ტურისტული სააგენტო
16. საუკეთესო გამყვანი ტურისტული სააგენტო
17. საუკეთესო სათავგადასავლო ტურიზმი
18. წლის საუკეთესო მოგზაური ფოტოგრაფი
19. წლის ყველაზე სწრაფად მზარდი კომპანია მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულებით





“Welcome to Georgia“-ს პროექტში მონაწილეობა საქართველოს ყველა რეგიონიდან 300-ზე მეტმა ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში მომუშავე კომპანიამ მიიღო,
“Welcome to Georgia“ ტურიზმის ეროვნული დაჯილდეობის მიზანია, ხელი შეუწყოს ამ სფეროს განვითარებას საქართველოში და ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე.

WELCOME TO GEORGIA
national tourism awards

## თანამშრომლობა კერძო სექტორთან

წლის განმავლობაში ტურიზმის სფეროში მომსახურების მიმწოდებლებთან გაიმართა 11 გაფართოებული შეხვედრა, სადაც განიხილებოდა ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემები და მათი მოგვარების გზები, ურთიერთთანამშრომლობის საკითხები, ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი მარკეტინგული აქტივობები.






2017 წლის სპეციალური პროექტები

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მანსაინძლობით, 2017 წლის აპრილში გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია საქართველოში ევროპისა და აზიის სამთო კურორტების საერთაშორისო კონფერენციას ჩაატარებს. ღონისძიებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 250-ზე მეტი დელეგატი დაესწრება.

ევროპისა და აზიის სამთო კურორტების საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში.

MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

Georgia


საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინიტრაცია

სანაპიროს ქ. N4, 0151, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 43 69 99; ფაქსი: +995 322 43 60 85
ელ-ფოსტა: info@gnta.ge
www.georgia.travel